საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-02/299

20 დეკემბერი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლინგვისტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ქრისტინე ცინცაბაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **ქრისტინე ცინცაბაძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის № 01-09/513 ბრძანების, ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/85 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის №06-01/82 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (12.12.2022, ოქმი N22-20/18)) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 22 0001607777, 14/12/22) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ლინგვისტიკის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ქრისტინე ცინცაბაძის** სადისერტაციო ნაშრომის -**„ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური ველი და მათი თარგმნის ლინგვოკულტურული ასპექტები" საჯარო** დაცვა **დაინიშნოს 2022 წლის 28 დეკემბერს, 17:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი „ლინგვისტიკის“ დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. მამია ფაღავა -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (**მდივანი**);

2.3. მარინე არუშიძე -ბსუ-ს პროფესორი;

2.4. ნატალია სურგულაძე- ბსუ-ს პროფესორი;

2.5. ნათელა ფარტენაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.6. ასმათ არძენაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.7. ნანა მაზმიშვილი- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.8. მზია ხახუტაიშვილი -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. ელზა ფუტკარაძე-ფილოლოგიის დოქტორი (ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**